



1995 წელს სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრას ეწოდა სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრა. 2000 წელს სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრას შეუერთდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრა. 2006 წელს განხორციელდა რეორგანიზაცია და სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრას ეწოდა დეპარტამენტი და ამავე დროს მას გამოეყო კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი.

2002 წლიდან 2020 წლამდე დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი ნაირა ჭაბაშვილი. 2020 წლის სექტემბრიდან სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ირაკლი ნატროშვილი.

სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი მსმენელებს, სტუდენტებს, მაგისტრებსა და რეზიდენტებს ასწავლის და აწვდის უახლეს ინფორმაციას - სარეაბილიტაციო მკურნალობის თანამედროვე, ფაქტებზე დაფუძნებული მეთოდების, რეაბილიტაციაში გუნდური მიდგომების პრინციპების, სარეაბილიტაციო პროცესების სწორი დაგეგმვის, მკურნალობის მიზნებისა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის შესახებ. 2020 წელს დეპარტამენტმა შეიმუშავა საქართველოში ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციის კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაცია (გაიდლაინი) და კლინიკური მართვის სტანდარტები (პროტოკოლი).

თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციასთან, საქართველოს

ოლიმპიურ კომიტეტთან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით საქართველოში სპორტისა და სპორტული მედიცინის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

2015 წლიდან 2020 წლამდე დეპარტამენტი მოღვაწეობდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე, სადაც მიმდინარეობდა როგორც სტაციონარული ასევე ამბულატორიული პაციენტების კონსულტაციები და სარეაბილიტაციო მკურნალობა.

2020 წლის სექტემბრიდან სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი მოღვაწეობს - კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე, თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, ახორციელებს მსმენელთა სწავლებას „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო და „სპორტის მედიცინის“ სარეზიდენტო პროგრამებში.

ამჟამად დეპარტამენტის აკადემიური პერსონალია: დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, ასოცირებული პროფესორი ზეინაბ სოფრომაძე, ასისტენტ პროფესორები თამარ სვანიშვილი და ელზა თათარაძე, ლაბორანტი მარიამ სოფრომაძე.